

## ტექნიკური დავალება (გეოლოგიური კვლევა)

### წინასიტყვაობა

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ობიექტი მდებარეობს საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ კახარეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაახლოებით  $41^{\circ}39'49.08''N$ ,  $42^{\circ}44'15.68''E$  გეოგრაფიულ კოორდინატებზე. აღნიშნული ტერიტორია ხასიათდება სამხრეთ საქართველოს მთიანი რელიეფისთვის დამახასიათებელი გეომორფოლოგიური და გეოლოგიური პირობებით, რაც მოიცავს დანაწევრებულ რელიეფს, ფერდობებსა და მრავალფეროვან გეოლოგიურ აგებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საინჟინრო-გეოლოგიური გარემოს დეტალური შესწავლა აუცილებელია ტერიტორიის საინჟინრო პირობების შეფასების, გეოლოგიური რისკების იდენტიფიცირებისა და დაგეგმილი საპროექტო გადაწყვეტილებების უსაფრთხო და ეკონომიკურად ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები განხორციელდება 0.7 ჰექტარის ფართობზე და მიზნად ისახავს ტერიტორიის გეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასებას, გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების განსაზღვრას, გეოდინამიკური პროცესების გამოვლენასა და მშენებლობისათვის საჭირო საწყისი მონაცემების მიღებას.

წინამდებარე ტექნიკური დავალება განსაზღვრავს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მოცულობას, მეთოდოლოგიასა და შესასრულებელ სამუშაოებს. მისი ფარგლებში უნდა განხორციელდეს მითითებული ტერიტორიისა და მისი მიმდებარე არეალის გეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, რაც მოიცავს საველე, ლაბორატორიულ და კამერალურ სამუშაოებს. აღნიშნული კვლევების შედეგები საფუძვლად დაედება საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას, ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასებასა და შემდგომი სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოდ და ეფექტიანად დაგეგმვას.

I. საკვლევი ტერიტორიის შესახებ არსებული ფონდური და ლიტერატურული გეოლოგიური, გეომორფოლოგიური, გეოტექტონიკური და ჰიდროგეოლოგიური მასალების მოძიება, მათი შესწავლა და ანალიზი.

### II. საველე სამუშაოები:

1. საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური აგებმვა მოწოდებული ტოპოგრაფიული რუკის საფუძველზე;

2. საზღვრების განსაზღვრა საინჟინრო-გეოლოგიურ ერთეულებს შორის;
3. გეოლოგიური რუკის მომზადება (მასშტაბი 1:50000);
4. გეოლოგიურ ერთეულებს შორის სტრუქტურული და ტექტონიკური კონტაქტების განსაზღვრა;
5. მეწყრების, ქვათაცვენების, დახრამვების და სხვადასხვა გეოდინამიკური პროცესების მდებარეობის განსაზღვრა;
6. კლდოვანი ქანების გაშიშვლებებიდან (შურფების) ქანის ნიმუშების აღება;
7. სამშენებლო მოედანზე 2 ჭაბურღილის (15 მეტრიანი), კერნების ამოღება და ანალიზი;

#### ანგარიშში მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ტექსტური ნაწილი.

1. საკვლევი რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები.
2. გეომორფოლოგიური პირობები.
3. გეოლოგიური აგებულება.
4. ტექტონიკა და სეისმურობა.
5. საკვლევი ტერიტორიაზე არსებული გეოდინამიკური პროცესები.
6. ლაბორატორიული კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავება და მათი ანალიზი, ჭაბურღილების პასპორტების მომზადება. უბნების გრძივი და განივი საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილების აგება და საბოლოო ტექნიკური ანგარიშის შედგენა და დასკვნები.

გრაფიკული ნაწილი.

1. რაიონის გეოლოგიური რუკა. მასშტაბი 1:50000
2. საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური (გეოდინამიკური პროცესების)
3. კლდოვანი ქანების ნაპრალოვნების შეფასება